საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

მესამე ჯგუფის შეხვედრა

ოქმი

თარიღი: 11 მარტი, 2024 წელი
დრო: 16:00 - 18:00
შეხვედრის ადგილი: Zoom Format

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები;
2. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
3. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი
4. აკაკი ფანჩულიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
5. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
6. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
7. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა

დღის წესრიგი

1. საგანგებო სიტუაციების მართვის შესახებ განცხადება და რეკომენდაციები.
2. ტყის სტატუსის შეწყვეტის პრეცედენტულობა და პლატფორმის მოქმედებები.

მესამე სამუშო ჯგუფის შეხვედრა გახსნა თანაკოორდინატორმა, ნუგზარ კოხრეიძემ.

ჯგუფის შესხვედრაზე იმსჯელეს და განიხილეს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს მიერ მოამზადებული რეკომენდაციების დოკუმენტის პირველადი სამუშაო ვერსია, რომელიც საგანგებო სიტუაციების მართვას უკავშირდება. აღნიშნული დოკუმენტი გაზიარებული იყო პლატფორმის მესამე სამუშო ჯგუფის წევრებთან ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის საშუალებით. შეხვედრაზე წევრებმა იმსჯელეს შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ და ერთხმად შეთანხმდნენ:
მესამე სამუშაო ჯგუფი მხარს დაუჭერს მწვანეთა მოძრაობის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას, როდესაც ის უკვე საბოლოო სახეს მიიღებს და გაზიარდება ჯგუფის წევრებისთვის.

საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა გაიმართა სისტემური ანალიზის მნიშვნელობაზეც. ჯგუფის წევრებმა მიიჩნევენ, რომ აღნიშნულმა რეკომენდაციამ უნდა იქონიოს გავლენა და მოხდეს სისტემის ანალიზი. ასევე მნიშვნელოვანია გააქტიურდეს და განხორციელდეს საკითხიზე მუშაობა პარლამენტთანაც.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემუშავებული რეკომენდაციების წარდგენას საქართველოს მწვანეთა მოძრაობა პარლამენტისთვის აპრილში გეგმავს.

ჯგუფის შეხვედრაზე, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი წარმომადგენელმა, რეზო გეთიაშვილმა, წარმოადგინა განცხადების ტექსტი, რომელიც ტყის სტატუსის შეწყვეტის პრეცედენტულობას ეხება. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო მომზადებული განცხადების ტექსტი, რომელიც შეხვედრაში მონაწილე წევრებმა განიხილეს და მიიჩნიეს, რომ აუცილებელია გაცხადება პლატფორმის სახელით გაკეთდეს.
შესაბამისად, მესამე სამუშაო ჯგუფის სახელით მიმართავენ საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციით მხარი დაუჭიროს მომზადებულ განცხადებას და 14 მარტამდე გამოქვეყნდეს განცხადება.
საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფის წევრები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ამ საკითხს კამპანიის ხასიათი მიეცეს. რეზო გეთიაშვილი თანახმაა 14 მარტს კასპში 2 ჰექტარი ტყის გასხვისების შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გაუზიაროს ჯგუფის წევრებს და სამუშაო ჯგუფმა შემდგომი შესაბამისი მოქმედებები დაგეგმოს.

ეროვნულ პლატფორმას წერილითა და მხარდაჭერის თხოვნით მიმართა საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც კამპანიას ატარებს ძველი იპოდრომის ტერიტორიის გადასარჩენად. საკითხი ეხება ძველი იპოდრომის ტერიტორიის ნაწილის (8 ჰექტარის) გასხვისებასა და არაოფიციალური ინფორმაციით ამ ნაკვეთებზე 5 კორპუსის მშენებლობის დაანონსებას (მათ შორის 60 სართულანი ბლოკების). შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს ამ საკითხთან დაკავშირებით და მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილე წევრები შეთახმდნენ, რომ ოპოდრომის

გადარჩენის კამპანიას "ინსტიტუციონალურად" დაუჭირონ მხარი, რაც გულისხმობს, რომ როდესაც კამპანიის წევრები მოამზადებენ წერილს, სამოქმედო გეგმას ან სხვა დოკუმენტებს, სამუშაო ჯგუფი საკითხზე მსჯელობას დაუთმობს სამუშაო შეხვედრას და საჭიროებისამებრ ჩაერთვება ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფის პროცესში.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ჭურაძე